



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/49

მ. თბილისი


27 ივნისი 2018

სსსც „ანალიზხელსაწყოს“ მიერ დამუშავებული და შექმნილი ხელსაწყოების  
საქართველოს ზოგიერთი საჯარო სკოლისათვის გადაცემის შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ე. ქოქრაშვილის 2018 წლის 4 ივნისის №05-01/51 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ივნისის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სსსც „ანალიზხელსაწყოს“ მიერ დამუშავებული და შექმნილი ხელსაწყოები გადაეცეს საქართველოს ზოგიერთ საჯარო სკოლას, ფიზიკური და ქიმიური ლაბორატორიის მოსაწყობად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ე. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გახოვიძე